პროექტის გეგმა

პროექტის დასახელება:

სასწავლო პროექტი: "მეტი შეგვიძლია!-ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპაში" არის ინტეგრირებული პროექტი, რომელიც მოიცავდა შემდეგ სასწავლო დისციპლინებს: სამოქალაქო განათლება და კომპიუტერული მეცნიერებები. პროექტში მონაწილეობდა 120 კადეტი (Xკლასი)

პრობლემას განსაზღვრავდა მისი აქტუალობის დასაბუთება:

მოგეხსენებათ, რომ დემოკრატიული ქვეყნის საყრდენი აქტიური სამოქალაქო საზოგადოებაა,რომელსაც კარგად აქვს გათვითცნობიერებული დემოკრატიის პრინციპები, პოლიტიკური მმართველობის განხორციელების ფორმები, მოქალაქის უფლება-მოვალეობები.

მოქალაქის მონაწილეობა არჩევნებში დემოკრატიის პრინციპის ძირითადი განმაპირობელი ფაქტორია. მომავალი თაობის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული ქვეყნისათვის არჩევნების როლისა და მასში მოქალაქეთა მონაწილეობის გააზრების ხელშეწყობა

ამ მიზნით მე, როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა გადავწყვიტე გამეკეთებინა პროექტი და ამ პროექტში კომპიუტერული მეცნიერებების მასწავლებელი, რადგან მოსწავლეებისათვის პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე ტექნოლეგიების გამოყენება, ინფორმაციის მოძიება, დახარისხება, პრეზენტაციის მომზადება და საარჩევნო მასალების დამზადება.

პროექტის მიზნები:

- ✔ მოსწავლეებმა იმიტირებული არჩევნების საფუძველზე გაითავისონ დემოკრატიის მექანიზმები;
- ✔ მოახდინონ კონსტიტუციური უფლებების გააზრება და გათავისება;
- ✔ შეაფასონ საარჩევნო პარტიებისა და სუბიექტების დაპირებები;
- ✔ შეძლონ პრიორიტეტების გამოკვეთა და გონივრული არჩევანის გაკეთება;
- ✔ ტექნოლოგიების გამოყენებით კომპიუტერული რესურსის, მოძიების უნარის განვითარება;
- ✔ არსებული ციფრული, აუდიო და ვიდეო რესურსების გამოყენებით პრეზენტაციის შექმნის და აუდიტორიისთვის გაცნობის უნარის ჩამოყალიბება.
- ✔

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- **იყოს აქტიური მოქალაქე:**

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესი. მონაწილეთა საარჩევნო ასაკის მიღწევის შემდეგ ქვეყანას უნდა ყავდეს ინფორმირებული, პასუხისმგებლობის მქონე, შეგნებული მოქალაქე და აქტიური ამომრჩეველი.

- **ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება;**

ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

მოქ.X.3. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს თავისუფალი პიროვნებისა და აქტიური მოქალაქის თვისებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს თავისუფალი პიროვნების აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელ პირობებზე საზოგადოებაში.

მოქ.X.11. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეების როლი ქვეყნის დემოკრატიაში

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს მნიშვნელოვან მოვლენას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან და თანაკლასელებთან ერთად განიხილავს ამ მოვლენაში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციას, შესაძლებლობებსა და ხარისხს.

არჩ.მულტ.დიზ. X/XI/XII.3.

შედეგი თვალსაჩინოა,თუ მოსწავლე

- შეუძლია ვიდეო პროექტის დაგეგმვა, განვითარება და წარმოდგენა; ამბის გადმოცემის მიზნით სტატიკური და დინამიური სურათების, ტექსტის, აუდიო და ვიდეო ფრაგმენტების კომბინირებით ვიდეო პროდუქტის შექმნა.

ამოცანები და განხორციელების გზები:

პროექტის მიზნის შესაბამისად დაისახა და ეტაპობრივად შესრულდა ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობები:

1. პროექტის გეგმის შექმნა; განხორციელების ვადების დადგენა (სექტემბერი – 2018);
2. საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა (სექტემბერი – 2018);
3. ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება (სექტემბერი – 2018);
4. საარჩევნო კომისიის არჩევა;
5. საარჩევნო სუბიექტების არჩევა ჯგუფის მიერ (ოქტომბერი – 2018);
6. საარჩევნო პროგრამების, პლაკატების,ლოზუნგების მომზადება(ოქტომბერი – 2018);
7. საარჩევნო პროგრამების პრეზენტაცია, განხილვა,დისკუსია (ოქტომბერი – 2018);
8. საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების დამზადება, საარჩევნო უბნის მოწყობა.
9. იმიტირებული არჩევნების ჩატარება (11 ნოემბერი – 2018);
10. არჩევნების შემაჯამებელი ოქმის შედგენა (ნოემბერი- 2018)

მოსალოდნელი შედეგები:

- განხორციელებული აქტივობების შედეგად ამაღლდება მოსწავლეთა ცოდნა არჩევნების სამართლებრივი კულტურის შესახებ. ეცოდინებათ როგორ უნდა შეაფასონ საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების დაპირებები და გააკეთონ სწორი არჩევანი ბიულეტინის შევსების დროს.

- პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლეების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესს. მონაწილეთა საარჩევნო ასაკის მიღწევის შემდეგ ქვეყანას ეყოლება ინფორმირებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, შეგნებული მოქალაქე და აქტიური ამომრჩეველი.
- შეძლებენ ვიდეო პროექტის დაგეგმვას, განვითარებას და წარმოდგენას; ამბის გადმოცემის მიზნით სტატიკური და დინამიური სურათების, ტექსტის, აუდიო და ვიდეო ფრაგმენტების კომბინირებით ვიდეო პროდუქტის შექმნას.

პროექტის ხელმძღვანელები: მელქაძე ქალთამზე
ფესტვენიძე ქეთევანი